

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე  
„პატიმრობის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა კანონპროექტის მიღების მიზეზი**

კანონპროექტის მიღების ძირითადი მიზეზია პენიტენციურ დაწესებულებებში გარე მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება.

**ა.ბ კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია, შეიქმნას სასჯელაღსრულების სისტემისა და პენიტენციური დაწესებულებების საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი.

**ა.გ კანონპროექტის ძირითადი არსი**

კანონპროექტით იქმნება პენიტენციური დაწესებულებების საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი, კერძოდ:

საქართველოს კანონს – „პატიმრობის კოდექსს“ ემატება 32<sup>1</sup>–32<sup>3</sup> მუხლები:

32<sup>1</sup> ითვალისწინებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში და პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა უფლებების დაცვის ზედამხედველობის მიზნით საზოგადოებრივი მონიტორინგის უფლებამოსილების მინიჭებას საქართველოში რეგისტრირებული ავტორიზებული ა(ა)იპ-ებისათვის, რომელთა საწესდებო მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობის ან მართლმსაჯულების სფეროს რეფორმის ხელშეწყობა; ამავდროულად აუცილებელია, ხსენებული ა(ა)იპ-ები სახელმწიფოში რეგისტრირებული იყვნენ ავტორიზაციის განაცხადის წარდგენამდე არანაკლებ 4 წლით ადრე და მათი საქმიანობა ეფუძნებოდეს ღიაობის პრინციპს, ხოლო ორგანიზაციის მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლეოდეს მონიტორინგის საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას.

კანონპროექტის თანახმად, ა(ა)იპ, რომელიც აკმაყოფილებს კანონპროექტით საზოგადოებრივი მონიტორინგისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ავტორიზაციისათვის მიმართავს საქართველოს პარლამენტში შექმნილ სპეციალურ ავტორიზაციის საბჭოს, რომელიც ამოწმებს განმცხადებლის შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან და შესაბამისობის შემთხვევაში ანიჭებს მას მონიტორინგის უფლებამოსილებას, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს სამინისტროს. ორგანიზაცია, რომელიც ავტორიზაციის საბჭოს ავტორიზაციის მოთხოვნით მიმართავს, განაცხადს თან ურთავს იმ ფიზიკურ პირთა (წარმომადგენელთა) მონაცემებს, რომლებიც ორგანიზაციის რწმუნების საფუძველზე განახორციელებენ მონიტორინგს სასჯელაღსრულებს სისტემაში.

კანონპროექტი ითვალისწინებს იმ შემთხვევასაც, როდესაც ორგანიზაცია უკვე ავტორიზებულია და სურს დამატებით წარმომადგენელთათვის უფლებამოსილების მინიჭება ან წარმომადგენლების შემადგენლობაში ცვლილება. მსგავს შემთხვევაში ა(ა)იპ აღნიშნულის დადასტურების შესახებ განცხადებით მიმართავს ავტორიზაციის საბჭოს.

ავგორიზაციის საბჭომ, მიმართვიდან 1 თვის ვადაში, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ორგანიზაციისათვის ავგორიზაციის მინიჭების ან წარმომადგენელთათვის უფლებამოსილების დადასტურების შესახებ.

კანონპროექტით გათვალისწინებული ა(ა)იპ-ისთვის მონიტორის უფლებამოსილების მინიჭება ხდება 2 წლის ვადით. წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურება უნდა მოხდეს არაუშუალოდ მარწმუნებელი ორგანიზაციისათვის ავგორიზაციის ვადის გასვლის თარიღამდე. ერთ მონიტორს ერთდროულად შესაძლოა ყავდეს არაუშუალოდ 20 წარმომადგენელი.

სამოგალოებრივი მონიტორი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა უფლებამოსილება დასტურდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ გაცემული რწმუნებით. ერთი და იგივე პირს შეუძლია იყოს მხოლოდ ერთი სამოგალოებრივი მონიტორის წარმომადგენელი.

კანონპროექტით გათვალისწინებულია შემდეგები სამოგალოებრივი მონიტორის წარმომადგენელთათვის. კერძოდ, მონიტორის წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს:

- ა) პირი, რომელიც ნასამართლევა განზრახ დანაშაულისათვის და არ გასულა 3 წელი ნასამართლობის გაქარწყლებიდან (მოხსნიდან), ან პირი რომელიც მსჯავრდებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.
- ბ) ბრალდებული;
- გ) 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირი;
- დ) საჯარო მოსამსახურე ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობისა და პოლიტიკური თანამდებობის პირი;
- ე) პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრი.

მონიტორ ორგანიზაციას ავგორიზაციას ანიჭებს ავგორიზაციის საბჭო, რომელიც იქმნება საქართველოს პარლამენტში და რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

- ა) ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;
- ბ) საქართველოს სახალხო დამცველი ან მისი წარმომადგენელი;
- გ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი ან მისი წარმომადგენელი;
- დ) საპარლამენტო უმრავლესობის (ან ასეთის არარსებობს შემთხვევაში იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც ყველაზე დიდი ფრაქცია ყავს);
- ე) საპარლამენტო უმცირესობს წარმომადგენელი (ან ასეთის არარსებობს შემთხვევაში იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც სიდიდით მეორე ფრაქცია ჰყავს);
- ვ) ა(ა)იპ-ების მიერ წარდგენილი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული 3 წარმომადგენელი.

ავგორიზაციის საბჭოს არჩევითი წევრის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს ა(ა)იპ-ს, რომელსაც არ აქვს სამოგალოებრივი მონიტორის სტატუსი, თუმცა ამავდროულად აკმაყოფილებს მონიტორისთვის ამ კანონით დაწესებულ მოთხოვნებს.

წარდგენილ კანდიდატებს პარლამენტი კენჭს უყრის ინდივიდუალურად და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის

უმრავლესობისა. თუ ასარჩევია ერთზე მეტი წარმომადგენელი, მაშინ კენჭისყრით გამოვლინდება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენი წარმომადგენლის ადგილიც ვაკანტურია. ავტორიზაციის საბჭოს არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადა 2 წელია.

კანონპროექტი საზოგადოებრივი მონიტორის ან მისი წარმომადგენლის მიერ კანონმდებლობის ან/და მონიტორინგის ქცევის კოდექსის უხეში ან არაერთგბის დარღვევის შემთხვევაში ავტორიზაციის გაუქმებას ან წარმომადგენლის უფლებამოსილების შეჩერებას ითვალისწინებს, რასაც ახლავს მონიტორი ორგანიზაციისათვის 3 წლის ვადით ავტორიზაციის საბჭოსადმი ავტორიზაციის მოთხოვნით მიმართვის უფლების შეზღუდვა, ხოლო წარმომადგენლის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, იმავე ფიზიკური პირისთვის 3 წლის ვადით წარმომადგენლის სტატუსის მოპოვების შეზღუდვა.

ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაცია განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე.

საზოგადოებრივი მონიტორი (მისი წარმომადგენელი) ამოწმებს პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას; პირადად ხვდება და ესაუბრება პატიმრობაში მყოფთ და მსჯავრდებულებს; ამოწმებს მათი აღნიშნულ დაწესებულებებში ყოფნის დამადასტურებელ და სხვა, მათ შორის სამედიცინო დოკუმენტაციას.

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა მიმართ მოპყრობის რეგულარული შემოწმების, აგრეთვე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებრივი მონიტორის წარმომადგენელი უფლებამოსილია:

- მოწმის გარეშე, პირადად ან თარჯიმნის მეშვეობით შეხვედეს და გაესაუბროს პატიმრობაში მყოფთ ან სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდულ პირებსა და მსჯავრდებულებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ აღნიშნულ პირთა (მათ შორის დაწესებულების თანამშრომელთა) უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- შეამოწმოს პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა იქ ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაცია;
- შესაბამისი ორგანოსა და ორგანიზაციისგან წერილობით მოითხოვოს და კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციისთვის დადგენილ ვადაში მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, რომელიც კავშირშია მისი უფლებამოსილებების შესრულებასთან.

საზოგადოებრივი მონიტორის წარმომადგენლის შეხვედრა პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, ასევე დაწესებულების თანამშრომლებთან ან სხვა პირებთან, კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია, ხოლო საზოგადოებრივი მონიტორის წარმომადგენელს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს მონიტორის წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელებისას. მას ეს უფლება უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

კანონპროექტით განსაზღვრულია საზოგადოებრივი მონიტორის (მისი წარმომადგენლის) ვალდებულებანი. კერძოდ:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;

- ბ) საკუთარი უფლებამოსილება გამოიყენოს კეთილსინდისურად;
- გ) დაიცვას საზოგადოებრივი მონიტორის ქცევის კოდექსის მოთხოვნები;
- დ) წელიწადში ერთხელ ინდივიდუალურად ან სხვა მონიტორებთან ერთობლივად მოამზადოს ანგარიში პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ და უზრუნველყოს მისი საჯაროდ გამოქვეყნება და ინტერნეტით ხელმისაწვდომობა;

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს პატიმრობის კოდექსის რიგ ნორმებში ცვლილებების განხორციელებას და მონიტორისა და მისი წარმადგენლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭებას.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

### **ბ.ბ) კანონპროექტის გაფლენა ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილზე გაფლენას.

### **ბ.გ) კანონპროექტის გაფლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

### **ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობათვის, რომელზეც მისი მოქმედება გავრცელდება.

### **ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი და მოსაკრებელი.

## **გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

### **გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

### **გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი“

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია ....